COVID-19

ქართული კომპანიები Covid-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე

მაისი 2020

pwc

კვლევა ჩატარდა ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით

სარჩევი

0	შესავალი	3
1	კვლევის ძირითადი ფაქტები და მიგნებები	4
2	პანდემიის ეფექტი ბიზნესზე	7
3	ბიზნესის მოლოდინები	12
4	ბიზნესის გამოწვევები დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით	16

შესავალი

რა ზეგავლენას ახდენს ახალი კორონავირუსი (COVID-19) ვირუსის გავრცელება საქართველოში ზოგადად ბიზნესზე და რა საშუალებებით უმკლავდებიან მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები კრიზისულ გამოწვევებს. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დღის წესრიგში დადგა ბიზნესის მიმდინარე პრობლემების და მოლოდინების გასაზღვრა და იმ კონკრეტული საკითხებს გამოვლენა, რომელთა მახარდჭერის საჭიროება დაუდგება ბიზნესს.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ (PwC საქართველო) ინვესტორთა საბჭოსთან ერთად შეიმუშავა კითხვარი, რომელიც ემსახურება COVID-19-ის საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესზე ზეგავლენის მოკვლევას და შესწავლას. კვლევის მიზანია ჯეროვნად შეაფასოს ზეგავლენის მასშტაბი, რომლებსაც კომპანიები აწყდებიან პანდემიის დროს და გამოწვევები, რომლის წინაშეც ისინი დადგებიან პანდემიის შემდეგ.

კვლევა ჩატარდა ამა წლის 16-27 აპრილის შუალედში ონლაინ გამოკითხვის მეთოდით. ინფორმაცია კვლევის შესახებ, სხვადასხვა არხის გამოყენებით, დაეგზავნა საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე და დიდი ზომის კომპანიებს (დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 250-ს). ჯამში **1938 კომპანიის** მიერ სრულად შევსებული კითხვარი წარმოადგენს აღნიშნულ პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაციის საფუძველს და მიზნად ისახავს ბიზნესის პანდემიასთან დაკავშირებული „პირველადი“ რეაქციის ასახვას. კვლევაში წარმოდგენილია პასუხები კითხვებზე, რომელიც უკავშრირდება ბიზნესის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, მათ მიერ უკვე გადადგმულ ნაბიჯებს, მიმდინარე ლიკვიდობის პრობლემებს და მათ პროგნოზებს პანდემიის სამომავლო შედეგებზე.

აღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია რეალური სურათის წარმოდგენის კუთხით და იმედი გვაქვს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას მხარდასაჭერი ინიციატივების დაგეგმვის პროცესში.

1

კვლევის ძირითადი ფაქტები და მიგნებები

ძირითადი ფაქტები

1,938

შევსებული კითხვარი

კვლევა შევსებული იქნა სხვადასხვა ზომის, სექტორის და რეგიონის მეხედვით განაწილებული 1,938 კომპანიის მიერ

46%

საწარმოების ზომა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის 46% წარმოადგენს მიკრო, ხოლო 25% მცირე ზომის კომპანიას



33%

რეგიონული მოცვა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის 33% წარმოადგენს რეგიონში მოღვაწე კომპანიას

კვლევის ძირითადი მიგნებები

მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა. მოთხოვნის შემცირებამ გამოკითხული საწარმოების უმეტესობაში (65%) უკვე გამოიწვია 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირება. რესპონდენტებს შორის ყველაზე მეტად დაზარალდნენ სასტუმროები და რესტორნები, რომელთა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება. უკვე არსებული შემოსავლის შემცირებისგან განსხვავებით, შედარებით პოზიტიურია ბიზნესის მოლოდინები სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებით - გამოკითხულთაგან დაახლოებით ნახევარი ელოდება წინა პერიოდთან შედარებით შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას. ამ შემთხვევაშიც ყველაზე ნეგატიური პროგნოზი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში იკვეთება.

მოთხოვნის შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა (ფულადი მოთხოვნების შეგროვების პრობლემა) და ზოგადად მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია. გამოკითხული კომპანიების 28%-ს უკვე შეექმნა პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით, დაახლოებით ნახევარს აღნიშნული გამოწვევები 1-6 თვის განმავლობაში შეექმნება, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ 15% გეგმავს შემცირებების გარეშე ლიკვიდობის შენარჩუნებას.

მოთხოვნის შემცირების და ლიკვიდობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დროულად საპასუხოდ კომპანიებს თანამშრომლების რაოდენობის შემცირება მოუხდათ. გამოკითხული საწარმოების 50%-ზე მეტმა სხვადასხვა მასშტაბით უკვე შეამცირა დასაქმებულთა ოდენობა. მათ შორის ყველაზე დიდი შემცირებები სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში შეინიშნება - აღნიშნულ სექტორში კომპანიების 40%-ზე მეტმა გაათავისუფლა ყველა დასაქმებული. ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. პანდემიის სამომავლო განვითარების გარშემო არსებული გაურკვევლობის გამო, ბიზნესის მოლოდინებიც ასევე ემთხვევა არსებული სიტუაციის შეფასებას.

პანდემიის გავრცელებასთან ერთად კომპანიების უმეტესობა დამატებითი დაფინანსების მოძიების გამოწვევის წინაშე დადგა. გამოკითხულთა 79%-ს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება, მაგრამ ამ ეტაპისთვის გამოკითხული კომპანიების 85%-ს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად. ხოლო იმ სეგმენტისგან, რომელმაც უკვე მიმართა ფინანსურ ინსტიტუტებს დიდ ნაწილს უარი ეთქვა დაფინანსებაზე. ამ სეგმენტში გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი ზომის კომპანიები, რომელთა 42%-მა მიიღო დაფინანსება, 36% ელოდება პასუხს ბანკის მხრიდან, ხოლო 22%-ს ეთქვა უარი დაფინანსებაზე.

აღსანიშნავია მოლოდინების განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. გამოკითხულ კომპანიებს შორის რეგიონში მომუშავეები ნაკლებად ელოდებიან შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას - 44% რეგიონებში და 51% თბილისში. მსგავსი სხვაობა ფიქსირდება ასევე თანამშრომლების რაოდენობის შემცირების გეგმასთან დაკავშირებით - რეგიონების კომპანიების 45% არ გეგმავს თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, თბილისში მომუშავე კომპანიების 37%-თან შედარებით.

2

პანდემიის ეფექტი ბიზნესზე

გამოკითხული კომპანიების 65% მთავარ გამოწვევად მოთხოვნის შემცირებას მიიჩნევს

რა სირთულეებს აწყდება დღეისათვის თქვენი კომპანია?

	მიკრო - თვითდასაქმებული	მიკრო - 2-9 დასაქმებული	მცირე - 10-49 დასაქმებული	საშუალო - 50-249 დასაქმებული	დიდი - 250-ზე მეტი დასაქმებული	ყველა ბიზნესი
მოთხოვნის შემცირება	66%	66%	60%	69%	70%	65%
შეფერხება მიწოდების ჯაჭვში	30%	31%	35%	40%	27%	33%
თანამშრომლების გაშვება დაუგეგმავ შვებულებაში	2%	13%	15%	20%	16%	12%
კარანტინის ან ავადმყოფობის მიზეზით დათხოვნილი თანამშრომლები	5%	16%	19%	18%	9%	15%
საზღვრების დახურვა	28%	29%	26%	27%	23%	28%
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების შესრულების შეუძლებლობა	3%	5%	4%	6%	2%	4%
დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან (ფულადი სახსრების შეგროვება)	15%	24%	30%	41%	25%	26%
ლარის კურსის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები	29%	39%	46%	51%	50%	40%

პასუხების 10%-ზე ნაკლები | პასუხების 10% -20% | პასუხების 20% -30% | პასუხების 30% -40% | პასუხების 40%-50% | პასუხების 50% -60% | პასუხების 60%-ზე მეტი

როგორ წავიკითხოთ ცხრილი?
ე.წ. „Heat map“ გვიჩვენებს, თუ რა პრობლემები იქნა დასახელებული მათთვის რელევანტურად სხვადასხვა ზომის კომპანიების მიერ. მაგალითად, საზღვრების დახურვა სირთულეებს უქმნიდა მიკრო (2-9 დასაქმებული) საწარმოების 29% -ს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი, რის გამოც პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს არ უტოლდება.

- პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე დიდ გამოწვევად მოთხოვნის შემცირებაა დასახელებული, რომელსაც მოსდევს ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული სირთულეები და შეფერხება მიწოდების ჯაჭვში.
- კვლევაში დაფიქსირებული პასუხების გარდა, როგორც მნიშვნელოვანი სირთულე, კომპანიებმა ასევე დაასახელეს - კარანტინის გამო ბიზნესის დაკეტვა და ტრანსპორტირების შეზღუდვა.
- სექტორული ანალიზის კუთხით, სასტუმროების და რესტორნების 49% და ტრანსპორტირების და დასაწყობების კომპანიების 41% საზღვრების დახურვას ასახელებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას.
- სამშენებლო და ICT სექტორების საწარმოებისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას ლარის კურსის ცვლილება და კლიენტებისგან დაგვიანებული გადასახადები წარმოადგენდა.
- სოფლის მეურნეობის და წარმოების სექტორების წარმომადგენლებისთვის ყველაზე დიდ სირთულედ მიწოდების ჯაჭვში შეფერხება და ლარის კურსის ცვლილება დაფიქსირდა.

წარმოქმნილი სირთულეების საპასუხოდ მიკრო თვითდასაქმებული საწარმოების 55% -ზე მეტმა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა

რა სახის ზომები მიიღო კომპანიამ ამ დროისათვის წარმოქმნილი სირთულეების საპასუხოდ?

	მიკრო - თვითდასაქმებული	მიკრო - 2-9 დასაქმებული	მცირე - 10-49 დასაქმებული	საშუალო - 50-249 დასაქმებული	დიდი - 250-ზე მეტი დასაქმებული	ყველა ბიზნესი
წარმოების / სერვისების მოცულობის შემცირება	13%	16%	19%	36%	27%	18%
წარმოების / მომსახურების გაჩერება	32%	35%	28%	25%	25%	32%
ბიზნეს საქმიანობის შეჩერება	59%	52%	40%	33%	25%	48%
დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება	3%	10%	16%	24%	18%	12%
დასაქმებულთა უხელფასო შვებულებაში გაშვება	4%	22%	26%	31%	23%	21%
შეკვეთების განთავსების შემცირება	14%	15%	16%	17%	16%	15%
ბიზნეს საქმიანობის ონლაინ რეჟიმში გადასვლა (ელექტრონული კომერცია)	6%	12%	13%	24%	23%	13%
თანამშრომლები მუშაობენ სახლიდან	5%	19%	31%	56%	61%	24%
ბიზნეს საქმიანობის ცვლილება	3%	3%	5%	8%	2%	4%
დაიწყო ხელმისაწვდომი დაფინანსების პროდუქტების გამოყენება	2%	3%	5%	8%	11%	4%

პასუხების 10%-ზე ნაკლები | პასუხების 10% -20% | პასუხების 20% -30% | პასუხების 30% -40% | პასუხების 40%-50% | პასუხების 50% -60% | პასუხების 60%-ზე მეტი

- გამოკითხული კომპანიების უმეტესობა იძულებული გახდა პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების გამო ბიზნეს საქმიანობა ან/ და წარმოება შეეჩერებინა.
- კომპანიებს, რომლებიც ასაქმებენ 50 ადამიანზე მეტს, სხვებზე მეტად აღმოაჩნდათ შესაბამისი რესურსი და შესაძლებლობა, რომ ბიზნეს საქმიანობა ონლაინ რეჟიმში გადაეტანათ, თანამშრომლები დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაეყვანათ და დამატებითი დაფინანსება გამოეყენებინათ.
- კვლევის მიხედვით, ყოველ მე-10 კომპანიაზე მეტს მოუწია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, ხოლო ყოველ მე-5 კომპანიას თანამშრომლების უხელფასო შვებულებაში გაშვება.
- სექტორულ ჭრილში, ბიზნეს საქმიანობა შეაჩერა სასტუმროების და საკვების სფეროს წარმომადგენლების 66%-მა, ვაჭრობის სექტორის 57%-მა, მშენებლობის სექტორის 53%-მა და სხვა მომსახურების სექტორის 50%-მა. ხოლო წარმოების და სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლების უმეტესობამ შეაჩერა ან შეამცირა წარმოების მოცულობა.
- თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ICT სექტორმა ყველაზე მარტივად შეძლო ახალ რეალობასთან ადაპტაცია.

როგორ წავიკითხოთ ცხრილი?
ე.წ. „Heat map“ გვიჩვენებს, თუ რა ზომები იქნა მიღებული სირთულეების საპასუხოდ სხვადასხვა ზომის კომპანიების მიერ. მაგალითად, მიკრო კომპანიების (თვითდასაქმებული) 59%-მა არჩია ბიზნესის შეჩერება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი, რის გამოც პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს არ უტოლდება.

გამოკითხულთა 63% -მა აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით 2020 წლის მარტსა და აპრილში მათი შემოსავალი 50%-ზე მეტით შემცირდა

რა ოდენობით არის 2020 წლის მარტის და აპრილის თვის შემოსავალი შემცირებული 2019 წლის მარტის და აპრილის თვესთან შედარებით?



- პანდემიის დროს ყველაზე დაზარალებული სექტორია სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, რომელთა 78%-მა დააფიქსირა შემოსავლების 50%-ზე მეტით შემცირება. მას მოსდევს ტრანსპორტირების და დასაწყობების სექტორი (69%), სხვა სახის მომსახურება (68%) და ვაჭრობა (66%).
- სოფლის მეურნეობის და წარმოების სექტორში მოქმედი კომპანიების დაახლოებით 40%-მა აღნიშნა შემოსავლის 50%-ზე მეტით შემცირება, რაც შედარებით დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით.
- ბიზნესების მხოლოდ 5%--ს არ ჰქონია შემოსავლის შემცირება 2020 წლის მარტსა და აპრილში.
- კომპანიის ზომის მიხედვით რესპოდენტთა პასუხების შესწავლის მიხედვით, 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირება ყველაზე მეტად შეეხოთ მიკრო თვითდასაქმებულებს (69%), შემდეგ მიკრო (2-9 დასაქმებული) კომპანიებს (64%), მათ მოსდევს მცირე ზომის კომპანიები (60%), საშუალო ზომის კომპანიები (54%) და ბოლოს დიდი ზომის კომპანიები (52%).

2020 წლის მარტის და აპრილის თვეებში კომპანიების 44%-ს თანამშრომლების რაოდენობა არ შეუმცირებია

რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ 2020 წლის მარტის და აპრილის თვეში?



- კვლევის შედეგების ანალიზიდან იკვეთება, რომ გამოკითხული კომპანიების 27%-ს სრულად (100%) მოუწია თანამშრომლების გათავისუფლება.
- თანამშრომლების შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეინიშნება სოფლის მეურნეობის, ICT და წარმოების სექტორებში, ხოლო ყველაზე მაღალი სასტუმროებსა და რესტორნებში (46%), სხვა სახის მომსახურების (40%) და ტრანსპორტირების და დასაწყობების (28%) სექტორებში.
- რაც შეეხება გათავისუფლებული თანამშრომლების პროფესიებს, ყველაზე მეტი თანამშრომელი გათავისუფლდა გაყიდვების და მომსახურების პოზიციიდან (38.7%), მას მოსდევს ბიზნესი და ადმინისტრირება (10.5%), მშენებლობა (10%), წარმოება და გადამუშავება (8.3%) და ტრანსპორტირება (8.1%).

3

ბიზნესის მოლოდინები

სასტუმრო და საკვები მომსახურების სექტორში მოქმედი კომპანიესბის 71% ელოდება შემოსავლის 50%-ზე მეტით შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

პროგნოზირებთ თუ არა შემოსავლის შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის 3 თვესთან შედარებით?



- კვლევაში მონაწილე საწარმოების ნახევარი მომდევნო სამი თვის განმავლობაში შემოსავლის 50%-ზე მეტით ვარდნას ელოდება, ხოლო კომპანიების მეხუთედს უჭირს მოსალოდნელი შემცირების ზუსტად განსაზღვრა.
- მომავალი შემოსავლების განსაზღვრა ყველაზე რთული აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სექტორში მოღვაწე კომპანიებისთვის.
- გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 3% არ ელოდება შემოსავლის შემცირებას უახლოესი 3 თვის განმავლობაში.
- სექტორებს შორის ყველაზე ნეგატიური მოლოდინი სასტუმროების და რესტორნების სფეროს წარმომადგენელ კომპანიებს აქვთ (71%), მას მოსდევს სხვა სახის მომსახურება (53%), ვაჭრობა (50%) და ტრანსპორტირება და დასაწყობება (47%).
- კომპანიის ზომის მიხედვით რესპოდენტთა პასუხების შედეგად, მიკრო თვითდასაქმებულების 53%, მიკრო (2-9 ადამიანი) ზომის კომპანიების 49% და მცირე ზომის კომპანიების 46% ელოდება 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირებას. ხოლო დიდი ზომის კომპანიებიდან არც ერთი არ ელოდება შემოსავლის 15-25%-ზე ნაკლებ შემცირებას.

სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი კომპანიების 60%-ზე მეტი მომდევნო 3 თვის განმავლობაში არ გეგმავს თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას ან მათი უხელფასო შვებულებაში გაშვებას

როგორ ფიქრობთ საერთო რაოდენობიდან რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწევთ მომდევნო 3 თვის განმავლობაში?



- ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მოღვაწე რესპოდენტთა პასუხებიდან გამომდინარე, 40% არ გეგმავს თანამშრომლების გათავისუფლებას უახლოესი 3 თვის განმავლობაში, გამოკითხულთა მეხუთედი კი 100% თანამშრომლების გათავისუფლებას გეგმავს.
- სექტორებს შორის ყველაზე პესიმისტური მოლოდინი მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს აქვთ. სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის სექტორის წარმომადგენლების 32%, ხოლო სხვა სახის მომსახურების კომპანიების 29% თანამშრომლების 100%-ის გათავისუფლებას გეგმავს.
- კომპანიის ზომის მიხედვით რესპოდენტთა პასუხების შედეგად, მიკრო (2-9 დასაქმებული) ზომის საწარმოების 24%, ხოლო მცირე ზომის კომპანიების 13% გეგმავს თანამშრომლების 100%-ის გათავისუფლებას. მაჩვენებლები განსხვავებულია საშუალო და დიდი ზომის ბიზნესისათვის - მათგან მხოლოდ 5% და 7% გეგმავს თანამშრომლების 100%-ის გათავისუფლებას.

კომპანიების მხოლოდ 15% პროგნოზირებს, რომ მათ 6 თვის განმავლობაში ლიკვიდობის შენარჩუნება შეუძლიათ

რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას გააგრძელოს ოპერირება და გადაიხადოს ყველა ვალდებულება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გარეშე?

გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი ბიზნესი ლიკვიდობის გამოწვევების წინაშე დგას, მათი უმეტესობა მიკრო საწარმოებია. პასუხები საკმაოდ განსხვავდება კომპანიიების ზომის მიხედვით. მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიების მესამედზე მეტის მოლოდინია, რომ მაქსიმუმ სამი თვის განმავლობაში შეძლებენ ლიკვიდობის შენარჩუნებას.

გადახდისუნარიანობის ყველზე დიდი პრობლემა სასტუმროებსა და რესტორნებს აქვთ - მათგან 40% უკვე იმყოფება ლიკვიდობის გამოწვევის წინაშე. მსგავსი გამოწვევები აწუხებთ სხვა სახის მომსახურების (35%), ვაჭრობის (30%) და ტრანსპორტირების და დასაწყობების (27%) სექტორების წარმომადგენლებს. რესპოდენტთა პასუხების მიხედვით პანდემიის წინაშე ყველაზე მდგრადი სექტორები სოფლის მეურნეობა (51%) და წარმოების (45%) სექტორები აღმოჩნდნენ, რომელთა უმეტესობაც დასაქმებულების შემცირების გარეშე შეძლებს ლიკვიდობის 3 თვეზე მეტი ვადით შენარჩუნებას.



4

ბიზნესის გამოწვევები დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით

გამოკითხული კომპანიების 79%-ს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება და მათგან 85%-ს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისათვის

ახალი კორონავირუსის მიზეზით გამოწვეული შეფერხებების გამო დასჭირდება თუ არა თქვენს ბიზნესს დამატებითი ფინანსური სახსრები?



- კომპანიას არ ესაჭიროება დამატებითი ფინანსური სახსრები
- კომპანიას ესაჭიროება დამატებითი ფინანსური სახსრები
- ჯერ არ მიმიმართავს
- მივმართე და უარი მეთქვა დამატებით ფინანსური რესურსის გამოყოფაზე
- მივმართე და ველოდები ფინანსური ინსტიტუტის პასუხს
- მივმართე და მოვიპოვე დამატებითი ფინანსური რესურსი



დამატებითი დაფინანსების საჭიროების სტატისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება კომპანიების ზომების მიხედვით. მიკრო ზომის საწარმოების 90%-ზე მეტს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტისათვის დამატებითი დაფინანსების მოპოვების მიზნით. მათგან განსხვავებით, დიდი ზომის კომპანიების მხოლოდ 48%-ს ჯერ არ მიუმართავს ბანკისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად, 22%-მა უკვე მოიპოვა დაფინანსება, 19% პასუხის მოლოდინშია და 11%-მა მიიღო უარი დაფინანსებაზე.

გამოკითხულთა 27%-ს დამატებითი დაფინანსება საბრუნავი სახსრებისათვის ესაჭიროება

რა მიზნობრიობით გესაჭიროებათ დამატები ფინანსური სახსრები?



- არ არის გამოკვეთილი ერთი კონკრეტული მიზნობრიობა, რომლისთვისაც კომპანიებს დამატებითი სახსრები ესაჭიროებათ. მათგან უმეტესობა (27%) თანხებს ნედლეულის შესასყიდად მოითხოვს, 24% - სხვა არსებული ვალდებულებების გასტუმრებისთვის, 20% - გადასახადების გადასახდელად, ხოლო 18% - ხელფასების გასაცემად.
- ღია პასუხში გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა დააფიქსირა გადასახადების, მათ შორის დღგ-ის და იმპორტის გადასახადის გადავადების სურვილი.
- აღნიშნულ მაჩვენებელებს შორის არ არის მნიშვნელოვანი სხვაობა, თუ მათ კომპანიების ზომის ჭრილში შევხედავთ. თუმცა, - დიდი საწარმოებისთვის საშუალოზე მეტ - 30%-ს დაფინანსება არსებული ვალდებულებების გასტუმრებისთვის სჭირდებათ.
- რაც შეეხება სექტორულ ჭრილს, ნედლეულის შესასყიდად საბრუნავი სახსრების დაფინანსება და დამატებითი დანადგარების შესყიდვა უმეტესად ესაჭიროებათ კომპანიებს სოფლის მეურნეობის, წარმოების და ვაჭრობის სექტორებში.

მადლობა ყურადღებისთვის

pwc.com

© 2020 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.
"PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

PwC გუნდი

ანგარიშის ავტორები

კირკ უილიამსი
პარტნიორი, PwC ევრაზია
საკონსულტაციო მომსახურება
E: kirk.x.williams@pwc.com

თამთა შერმადინი
დირექტორი, PwC ევრაზია
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: tamta.shermadini@pwc.com

ნინო ჩოლოყაშვილი
უფროსი მენეჯერი, PwC საქართველო
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: nino.cholokashvili@pwc.com

არსენ გოგატაძე
კონსულტანტი, PwC საქართველო
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: arsen.gogatadze@pwc.com

ექსპერტები

აგნეშკა გაჟევსკა
პარტნიორი, PwC ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერი
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: agnieszka.gajewska@pwc.com

დიონისი სმოლენი
დირექტორი, PwC პოლონეთი
E: dionizy.smolen@pwc.com

პაველ ოლესზუკი
მენეჯერი, PwC პოლონეთი
E: pawel.oleszczuk@pwc.com